თამარ კალანდაძე
TAMAR KALANDADZE

თამარ კალანდაძე (1990) განათლებით ფილმის რეჟისორია. მისი ნამუშევრებიც ძირითადად მოძრავ გამოსახულებაში იქმნება - ექსპერიმენტული და დოკუმენტური მოკლემეტრაჟიანი ფილმები თუ მულტიმედია ვიდეო პროექტები. თამარის ხელოვნება ძირითადად რეფლექსირებს ხელოვანის კულტურულ და პოლიტიკურ მემკვიდრეობაზე. ქართული მითიური არქეტიპები თუ უახლესი ისტორიის ქრონიკა მის ნამუშევრებში ერთმანეთს ერწყმის, ახალ მნიშვნელობებს ქმნის და განსაკუთრებული მგრძნობელობის პოეტურ რეფლექსიებად გვევლინება. რეზიდენციის განმავლობაში თამარი ფიქრობდა სისხლის აღების, სისხლის გაზიარებით დაძმობილების, ძუძუმტეობის ტრადიციებზე, შეისწავლიდა ძველბერძნულ კულტურას და კულტურული მრავალფეროვნებით შექმნა ნამუშევარი მის პირად გამოცდილებასა და თავგადასავალზე.

Tamar Kalandadze (b. 1990) is a film director by education. Her art also mostly created in moving images - experimental documentaries, short films, or multimedia video projects. Tamar's art mainly reflects on the cultural and political heritage of the artist; Georgian mythological archetypes or the chronicle of country's recent history are superimposed in her works and poetic reflections of special sensitivity are created as a result. During her residency, Tamar thought about the traditions of vendetta, blood-sharing, shared breastmilk, studying Hellenic culture, and weaved her personal experiences in these knowledge systems to create the resulting artwork.

თამარი | TAMAR

რიტა, მე თვითონ არ მინახავს არცერთი ქვემოთ ჩამოთვლილი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, მაგრამ ინტერნეტში მოძიებულმა მასალებმა გულგრილი არ დამტოვა. შენგან მაინტერესებს, რამდენად გაქვს რომელიმე მათგანთან რეალური ემოციური თუ ინტელექტუალური ბმა: ბიჭვინთის კათედრალი, გაგრის ბაზილიკა, დანდრის, ლიხნის, მოქვის, ილორის ეკლესიები, ბედიის მონასტერი, სვიმონ კანანელის ეკლესია, ანაკოფიის ციხე, წებელდის ციხე, აჭანდარას ციხე. სიმართლე გითხრა, როდესაც "სოხუმის სტელას" გადავაწყდი, კინაღამ ცრემლები წამომივიდა - ლუვრის მუზეუმში ბერძნული ხელოვნების სექციაში ბევრია ასეთი სამგლოვიარო სტელა და მათი თვალიერება ძალიან გულისამაჩუყებელია. მეორე მხრივ, არანაკლებ გულისამაჩუყებელია იმ ფაქტის გააზრება, რამდენად ელინიზებული იყო ჩვენი ტერიტორიები.

I wonder if any of these cultural heritage sites in Abkhazia speak to you or are important for you in one or another way: Bitchvinta (Pitsunda) Cathedral, Basilica of Gagra, Dranda/Likhni/Mokvi/Ilory churches, Bedia monastery, Church of St.Simon the Cannanite/ Anakopia Fortress, Poltavskoe/ Tsebelda Fortress? I've never seen them, but my internet research hasn't left me indifferent… and when I came across Sukhum/i Stella, I nearly cried as I did in the section of Ancient Greek funeral stellas in the Louvre. I am touched, every time some historical monument or piece of art makes me realize how much our territories were Hellenized!

რიტა | RITA

სინამდვილეში ანაკოპიის ციხესიმაგრესთან ვცხოვრობ. ეს ემოციურად ყოველთვის ისე მიმაგრებდა ზურგს, როგორც ჩვენი საინტერესო და რთული უძველესი ისტორია. ანაკოპიის მთის მწვერვალზე ასვლისას, როგორც ბავშვობაში, ისე ახლაც შემიძლია შორიდან შევავლო თვალი და მოვირგო (მე, პატარა ადამიანმა) შორეულ მთათა სივრცე. ასეთ მომენტებში შემიძლია საკუთარი თავიც კი შევადარო მას. ასევე მაქვს განსაკუთრებული მოგონებები ტაძართან, სიმონისა და "ზელოტის" მონასტერთან. ჩემი სახლის ხედი პირდაპირ მონასტერს უყურებს და შესაბამისად მთელი ცხოვრებაა ყოველდღე ვუყურებ. იმდენად ძლიერია მისი ანაბეჭდი ჩემს ცნობიერებაში, რომ სადაც არ უნდა წავიდე, მისი ხატი სულ თან დამყვება და ეს ხატი შემოქმედებითადაც მიზიდავს. ბევჯერ გამომისახავს მონასტერი, როგორც გრაფიკულად და ფერწერაში, ისე კერამიკაზეც.

სოხუმის მარმარილოს სტელა (საფლავის ქვა); ძვ.წ მე-5 საუკუნე; სოხუმის ეროვნული მუზეუმი
Sukhumi Stela; 5th centuary B.C; Sukhumi State Museum

In fact, I live under the fortress of Anacopia. This has always strengthened me, as much as our interesting and complex ancient history always does to us. While climbing to the top of Anacopia mountain as a child or even nowadays, I look over everything from afar and try this wide distant mountains expanse on me (a tiny human being). At these kinds of moments, I can even compare myself to it. I also have special memories with the temple and with the monastery of Simon the Zealot. Because the view from my house is right on the monastery, I have seen it literally every day of my life. It is so strongly imprinted in my mind and wherever I go, its image follows me. This image attracts me creatively as well. I have depicted the monastery many times, both in graphics and paintings, as well as in ceramics. You are right, Sukhum/i Stella is really amazing. This quivering parting plot with those calm faces cannot but excite and delight.



ანაკოფიის ციხის კომპლექსი; ანაკოფია; აფხაზეთი
Panorama of the upland buildings of Anakopia, Abkhazia

თამარი | TAMAR

დიდი მადლობა პასუხისთვის! ამ შემთხვევაში, ამფორის ერთ მხარეს შენი ფიგურის სამოსს ანაკოფიის ციხე-სიმაგრის ტერიტორიაზე ნაპოვნი ქვის რელიეფის მოტივით გავაფორმებ. ეს შინაარსობრივი რეზონანსი კიდევ იმიტომაც მომწონს, რომ ანაკოფიას ისევ ელინური კულტურის მემკვიდრეობასთან მივყავართ პირდაპირი (არქეოლოგიური არტეფაქტები) და ირიბი (კულუტურული გავლენები) მნიშვნელობით. ისევ ბერძნებთან რომ დავრჩეთ, მომიყევი, რატომ არის შენთვის მიმზიდველი ბერძნული კერამიკა (და კერამიკა ზოგადად) თუ წარმოიდგენ, რომ ყველა ძირითად კულტურულ ეპოქაში ვცხოვრობდით (სპარსულში, ინდურში, ეგვიპტურში), მაშინ ვინ იყავი ძველ საბერძნეთში (ღმერთი, ათლეტი, პოეტი, სკულპტორი, რიტორი, კერამიკოსი, ფილოსოფოსი)?

Thank you! In this case, decorations or the motif of your clothing on the amphora should certainly resonate with those of Anacopia fortress carvings and reliefs, the more especially because, once again, the Hellenic culture underlies it in a literal (archaeological evidence) and figurative sense. To keep clinging to Ancient Greeks, our eternal inspirators, let's talk about your attraction towards Greek pottery (and ceramics in general). If you imagine, we lived in all major cultural epochs (Persian, Ancient Indian, Chaldean-Egyptian), who do you think you were (a goddess, an athlete, a poet, a sculptor, a potter, a politician, a philosopher) in Ancient Greece?

რიტა | RITA

კერამიკა ჩემი ცხოვრების ფუნდამენტური ნაწილია. როგორც მამაჩემი ამბობს (ასევე კერამიკოსი და ხელოვანი), როგორც პირველი ადამიანები იყვნენ შექმნილი თიხისგან (მიწა, მტვერი, ფერფლი), ზუსტად ეგრე შემქმნეს მეც მან და დედამ. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ შემიძლია ჩემი შინაგანი ემოციები და გრძნობები თიხის საშუალებით გადმოვცე. ასევე, მოხარული ვარ, რომ შევძელი ეს გამეაზრებინა, ამიტომაც გახდა თიხა ძალიან მნიშვნელოვანი ჩემს ცხოვრებაში. ძველბრძენული კერამიკაც ზუსტად ამის გამოა ჩემთვის მნიშვნელოვანი, რამაც გავლენა მოახდინა ჩვენს კულტურაზე. ძალიან საინტერესოა, როცა წარმოვიდგენ ჩვენს ცხოვრებას როგორც ჩვენი წინაპრების გზის გაგრძელებას, ერთგვარი ჩირაღდნის გადაცემაა. ვფიქრობ, რომ ჩვენ ხელოვნებაში უბრალოდ მსოფლიო შემოქმედები ჯაჭვს ვაგრძელებთ, ამიტომ მგონია, რომ ყველა, ვინც ფიქრობს, რომ ხელოვანი იყოს, ამაზე უნდა დაფიქრდეს სერიოზულად. საბოლოოდ ხომ ჩვენც ამ შემოქმედებითი ეპოპეის გამგრძელებლები ვიქნებით. სიმართლე ვთქვა, არ ვიცი, ვინ ვიქნებოდი ძველ საბერძნეთში. ალბათ, მეთუნუქე, როგორც ამ კორინთულ დაფებზე. მაგრამ, მინდა გკითხო რა ტიპის ტექნიკა და ვიზუალური გამოხატულება არის ყველაზე ახლოს შენთან და როგორ იყენებ მათ? გაქვს რამე მიმართულება? მინახავს შენი ბევრი ვიდეო, მაგრამ ის განსხვავდება იმ ვიზუალური ენისგან, რომელიც შენი პროექტის ნაწილი იყო რეზიდენციაში. როგორ დაახასიათებდი ამ განსხვავებულ ვიზუალურ ენებს?

კორინთული პინაქსი; არქაული პერიოდი. ძვ.წ მე-6 ს.ლუვრის მუზეუმი
Corinthian Pinax; Archaic period. 6th century B.C; Louvre Museum

Ceramics for me is the fundamental principle of my life. As my father (also an artist and ceramist) said, just like first people were created from clay (earth dust, ashes), so he and my mother created me.I am grateful that I can convey my inner emotions and feelings through this material. And I'm also glad that I was able to realize it. Hence, clay is very important in my life. Ancient Greek ceramics, because of this principle, is also significant to me. The arrival of ancient Greek with their unique culture as well as the layering of other different cultures which were on the Black Sea coast certainly made an impression on us and our cultural makeup right now. It's really interesting to imagine our life as if it were a continuation of our previous incarnations, a kind of passing of a torch. It's just like we in art simply continue this chain of all world creativity, so I think that everyone who has begun to be an artist should take this seriously. After all, we will be a part and continuers of this entire artistic epic. In fact, I don't know who I would be in Ancient Greece, probably also a potter, just like on the Corinthian tablets
But I would like to ask you about what techniques and visual expressions are closer to you, and how do you use them? Do you have any work trajectory? I have seen more of your videos. It's quite a different visual language than your project at the residence. How would you characterize these different visual languages for yourself?

თამარი | TAMAR

ტერაკოტის ეწოხოია (ტოლჩა); მიაკუთვნებენ ბერლინის მხატვარს. ძვ.წ მე-5 ს; მეტროპოლიტენის ხელოვნების მუზეუმი
Terracotta oinochoe:chous; Attributed to Berlin Painter. 5th century B.C; Metropolitan Museum of Art

თუ აპოლონის მუზებს შორის სუბორდინაცია არსებობს, მაშინ მუზა “კინემა” (მოძრაობა) მათ ქვევით იქნება. ეს არ ნიშნავს, რომ ღირსებას ვუკარგავ, პირიქით, ისიც ისეთივე დინამიური და კომპლექსური მგონია, როგორც 9 ანგელოზური იერარქიის ქვევით მცხოვრები ადამიანი. კინემა საკმაოდ დახვეწილი და მეამბოხე კიბორგია, მაგრამ მეტალივით მძიმე სხეული აქვს. ამჯერად, მინდოდა მას გავქცეოდი და აპოლონის უფრო მსუბუქ მუზებს გავთამაშებოდი, მაგრამ შენ, აშკარად, ჩემზე ადრე აფრინდი და იქიდან გამომიწვიე.
ბევრს თუ იღებ და უყურებ თვალი იწვრთნება. უფრო ადვილად ასხვავებ ფოტოგენურს ბანალურისგან, ყალბს - ნაღდისგან. კადრის კომპოზირების უნარი მექანიკური ხდება, მაგრამ კინოს (ვიდეოგამოსახულების) შემთხვევაში, მაინც რეალობის ძალიან უმ რეპრეზენტაციებთან გიწევს მუშაობა. იმისთვის, რომ გამოსახულებას თვითნაბადი ჰიპერრეალიზმი და ვულგარულობა დააკარგინო, უნდა დაბეგვო, დაპრესო და ჩამოასხა. დაახლოებით, ისეთი შრომატევადი და დამღლელი საქმიანობაა, როგორიც მჭედელს აქვს რკინის საამქროში.
მაშინ, როცა ანტიკური საბერძნეთის კულტურაში ჩაძირვას - ბერძნული ლარნაკების შესწავლას, მათზე გამოსახულ ფიგურათა პოზების, ჟესტებისა თუ სამოსის თვალიერებას დიდი სიხარული და სიმშვიდე მოაქვს. შეიძლება, ცოტა უცნაურად ჟღერს, მაგრამ პრაქტიკაში დასტურდება, რომ ბერძნული ხელოვნებიდან გამაჯანსაღებელი გამოსხივება იფრქვევა.
კვლევის პროცესში აღმოვაჩინე, რომ თიხის ჭურჭელზე გამოსახული ფიგურები, და განსაკუთრებით “ბერლინელი მხატვრის” სილუეტები, დგანან განმეორებადი გეომეტრიული ფორმებით შექმნილ საყრდენებზე. ხშირად, მათ თავს ზევით მცენარეული ორნამენტის ზოლია დახატული. ადამიანი, რომელიც თამამად ეყრდნობა ცოცხალ გეომეტრიას, აზრებისგან ყვავილოვან წნულებს ქმნის და თავისუფლად დარჩენილი გულით სამყაროს შეიმეცნებს - ზუსტად ასეთი მგონია ჯანსაღი ძველი ბერძნების განზოგადებული სახე. მეორე მხრივ, ვცდილობ, გამოვიცნო, ჩვენი ცივილიზაცია რას ეყრდნობა ან აზრთა როგორი პატერნითაა მოცული...

If we imagine that between the nine muses of Apollo, there is a hierarchy, then the muse of kínēma (movement) is standing under them like a tenth muse. I don’t underestimate her, she is as complex and ever-changing as a human being itself, living under the 9 hierarchies of celestial powers. She is a sophisticated and rather rebellious cyborg, but she’s heavy with her metallic body! This time I just wanted to allow myself to play and fly higher with other muses of Ancient Greece. But you were up there before me, teasing me to climb up!
When you are filming and watching a lot, your eye becomes sharper, you discern photogenic from banal, real from fake. The sense of composition becomes almost automatic, but mainly, you are working with very raw representations of physical reality. In order to break through the inborn hyperrealism and vulgarity of your image and get something finer, more elaborated, you have to hammer, press and roll it similarly to a muscular metalsmith forging metalware. It’s relatively tiring, heavy work! While diving into the realm of Ancient Greeks – studying Greek pottery, contemplating painted figures – their postures, gestures, garments – bring delight to heart and peace to mind. It sounds odd, but in practice, Greek Art transmits something curative.
During my research, I noticed that certain figures depicted on different vessels, especially those of so-called Berlin painter, are standing on a ground of regular geometrical patterns of varying complexity. Sometimes we see different plant-based roll bands above them. A man walking assuredly on a living geometry weaves flower-shaped thoughts and lets his heart cognize the world – isn’t it a perfect generalized picture of a harmonious (healthy) Ancient Greek? I try to guess, what is our civilization grounded in or what is the pattern of our thoughts.

რიტა | RITA

შენს პროექტში ძალიან საინტერესოა ის, რომ ბუნდოვანია ეპოქისწინანდელი საზღვრები და სხვა ბევრი რამ. ამით, ასევე, მგონია, რომ შეგვიძლია ბუნდოვანი გავხადოთ პირადი საზღვრები (სინამდვილეში ვერ ვივიწყებ შენს იდეას "ენგურის ორივე მხარის" შესახებ). მაგრამ ახლა ყველა ეროვნულ იდენტობაზე საუბროს. მამაჩემი კი იმას მეუბნება, რომ ხალხური კულტურა არ ჩანს ჩემს ნამუშევრებში საერთოდ, მე კი პასუხად იმას ვეუბნები რომ მინდა აღვწერო ე.წ "მსოფლიოს ადამიანი". შენ რას ფიქრობ ამაზე?

In your project, there is an interesting thing, like blurring the boundaries before the epoch and time and other things. I even think that this can also blur our boundaries. (I don't really let go of your idea of "on both sides of the Ingur River") But now everyone is talking about national identity. My father often says that there is no national culture in my works. I can only answer that I want to portray the so-called man of the world. And how do you feel about it?

თამარი | TAMAR

ჩემი რწმენით, ადამიანებს ტანსაცმელივით გვაცვია სქესი, ნაციონალობა, ტრადიცია, რელიგია და კიდევ ბევრი რამ. ეს გარსები ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ თვითმიზანი არცერთი არაა - შენ რომ უნივერსალური ადამიანი ახსენე, მგონი, მის თვითგამოხატვას უნდა ემსახურებოდეს ყველა სხვადასხვანაირად. ნაციონალობაც ცვლადია. მართობს ის აზრი, რომ თუ ისტორიის ამ მომენტში შენ აფხაზი ხარ და მე - ქართველი, შეიძლება, ეს კანონზომიერ, სიმეტრიულ კონფიგურაციას ქმნიდეს ჩვენს წინა ცხოვრებასთან მიმართებით ძველ საბერძეთში, როცა შენ კორინთოდან იყავი და მე - ათენიდან. ჩვენი განმეორებითი ინკარნაციების მთავარი აზრიც ის უნდა იყოს, რომ მოცემულ კულტურულ ეპოქაში, კონკრეტულ ცივილიზაციაში შევძლოთ სპეციფიური გამოცდილების დაგროვება. აშკარად, რაღაც ძალიან განსაკუთრებულის სწავლა შეიძლება, როდესაც 21-ე საუკუნეში ქართველად ან აფხაზად იბადები. ვთანხმდებით, რომ არც ისე იოლი გაკვეთილია.

In my belief, humans are wearing garments of gender, nationality, tradition, religion and so on. These notions are extremely important, but they are just instruments of self-expression for that universal human being you mentioned above. Nationality is a variable. The fact that I am Georgian and you are Abkhazian at the given moment of our lives creates a certain configuration of events, which could be a sort of symmetrical analogue to our past lives in Ancient Greece, for example, where you were probably Corinthian, and I was Athenian :)) But the main reason we keep incarnating on Earth could be the necessity of acquiring some specific knowledge and experience according to the given cultural epoch. There is definitely something unique to learn from being Georgian or Abkhazian in the 21st century. Indeed, not an easy trial to pass.

ზოდიაქოს ადამიანი; მე-15 საუკუნის ილუსტრირებული ხელნაწერი; ბავარიის სახელმწიფო ბიბლიოთეკა.
Zodiac Man; 15th century illustrated manuscript; Bavarian State Library

რიტა | RITA

თავს როგორ გრძნობ როცა ხელოვნებით შენს ყველაზე პერსონალურ ემოციებს აჩვენებ? ამას იმიტომ გეკითხები პირადად შენ, რომ როგორც შენ დაწერე, მეც ისეთი გრძნობა მაქვს თითქოს უკვე ვიცნობდით ერთმანეთს და შეიძლება ახლოსაც კი ვიყავით. ასეთ დამთხვევებს კი ყოველთვის დიდი თრთოლვით ვეკიდები. ჩემთვის, ეს ძალიან მნიშვნელოვანი კითხვაა და ალბათ ორჯერ უფრო დაუჯერებელი, რომ ამას შენ გეკითხები. მეც მეკითხებიან იმავეს და ხშირად სიცარიელისა და სიშიშვლის განცდა მეუფლება, როცა ძალიან პირადულზე ვიწყებ საუბარს. მგონია, რომ შეიძლება ამან ტკივილი მომაყენოს. შენ რას ფიქრობ ამაზე?

How do you feel when you show your innermost personal feelings through art? I'm asking you specifically, because as you wrote, it also seems to me that once we already knew each other, maybe even were close. In fact, I always treat such amazing coincidences with great trepidation. For me, this is a very important question and it is probably twice as unbelievable to ask this to you. I get asked this because I often feel empty and stark naked when talking about something really personal. Like it might hurt me. And how do you feel about it?

თამარი | TAMAR

სიმართლე გითხრა, პირველად ვბედავ, ვიყო ასეთი პერსონალური. ამ რისკზე წასვლა ძალიან გამიადვილა ჩვენმა თანამშრომლობამ. როგორც წესი, მირჩევნია კამერის უკან, მეტნაკლებად შეუმჩნეველი ვიყო. დოკუმენტური კინოს კეთებისას, შენი ყურადღება გარეთ, სხვა ადამიანებისკენ და მოვლენებისკენაა მიმართული, ამიტომ, ასე თუ ისე, დაცული ხარ ნარცისიზმის თუ ეგზიბიციონიზმის უკიდურესობებისგან (მაგრამ, შეიძლება, მოჩვენებითად!) შენ რასაც ამბობ, ძალიან კარგად მესმის: ღრმად ინტიმური ემოციური ცხოვრება და ფიქრები რომ სააშკარაოზე გამოგაქვს, აუნაზღაურებელი კონტრიბუცია უნდა იყოს. გამიგია, რომ ბევრს ასეთი ეგზალტაცია ნორმად მიაჩნია შემოქმედი ადამიანისთვის, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ დელფოსის აპოლონის ტაძრის მეორე მაქსიმა დღემდე ძალიან ფუნქციური რეკომენდაციაა.

Honestly, It's my first time daring to be that personal in my work, but taking a risk was easier because of your presence and our precious collaboration in the frames of this project. Mainly, I prefer being relatively invisible behind the camera. In documentary filmmaking your attention is outside amidst other people, that's why you are more or less protected from falling either into Narcissism or exhibitionism. I understand what you mean: unveiling the deeply intimate inner life of your emotions and thoughts can be very exhaustive, and it's believed to be a casual thing for an artist, but I think the second maxim from the Temple of Apollo in Delphi still works as functional advice!

დელფოს სამისნოს და აპოლონის ტაძრის არტეფაქტები.
დელფოს არქეოლოგიური მუზეუმი.
Artifacts of Temple and Oracle of Apollo.
The Archeological Museum of Delphi